ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

12. 12. 08 № 111

(თბილისი)

/2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებულის სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის დამატებითი ვადების დადგენის შესახებ/

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და 2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის შედეგად სტუ-ს დაზარალებული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის ვადების გაგრძელების მიზნით

ებრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი პროფესიული და ბაკალავრიატის იმ სტუდენტებს, რომელთაც მიმდინარე წლის საომარი მდგომარეობის გამო მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, 2008/09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის პირველი ნახევრის გადახდის ვადა განესაზღვროთ 2009 წლის 1 თებერვლამდე.
2. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს შესაბამისის ფაკულტეტების დეკანატებს.
3. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე

სტუდენტური თვითმმართველობა — თ. დუნდუა